მინდია-ვაჟა

ორივ, ტკბილია, ძმობილო,
მირჩევნის ორთავ თვალზედა
რ. ერისთავი

სიმღერის ჟინი მომივლის
და ოჯახს გავეპარები,
ლაღი, ყელმოღერებული
მთისაკენ მივეჩქარები.
ავალ და ვხედავ: მეღება
ცით დახურული კარები,.
მინდა შოთასაც ვასმინო
ფშავ-ხევსურთ დანაბარები.

რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე,
ორი ცეცხლი მწვავს ტრფობისა:
ერთია ე შემოქმედების,
მეორე - ჯალაბობისა.

რა წამსაც ძახილს დამიწყებს
დედა-ბუნება გრძნეული,
ქუდმოგლეჯილი გავრბივარ.
მინდიად გადაქცეული.
რომ არ წვიდე, არ ძალმიძს.
გულს ჯავრი დაეჭიდება:
და ჩანგსა, ჭვარტლში მიგდებულს.
ცრემლები დაეკიდება.

წავალ და, ვიცი, უჩემოდ
ცოლ-შვილი ამიტირდება,
ორივე საყვარელია,
ორთავეს კვება სჭირდება,

ერთიც მემდურის, მეორეც,
ორივ მე ამიხირდება
და ორცეცხლშუა ეს გულიც
იწვის და მინახშირდება.

1935 წ.